საქმე №330310023007179079
საქმე №3/2970-23

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

8 მაისი, 2023 წელი **ქალაქი თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ნინო ბუაჩიძე

მოსარჩელე - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“

მოპასუხე - სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

2023 წლის 21 აპრილს ა(ა)იპ-მა „მწვანე ალტერნატივა“ სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიმართ, შემდეგი სასარჩელო მოთხოვნით:

- ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 23 იანვრის №23/03-922 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ და დაევალოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს გადასცეს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 23 იანვრის №23/03-922 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია კერძოდ: შპს ჯორჯიან მანგანეზთან 2021 წლის 1 დეკემბრიდან ინფორმაციის მოწოდების დღემდე წარმოებული მიმოწერის, კომპანიის მიერ წარმოდგენილი (მათ შორის კომპანიის სპეციალური მმართველის მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშები შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით) და/ან კომპანიისათვის გაგზავნილი ყველა დოკუმენტის ასლი;

- ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 21 მარტის №256/ს ბრძანება, რომლითაც

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 26 აპრილის განჩინებით სარჩელზე დადგენილი იქნა ხარვეზი. მოსარჩელე მხარეს დაევალა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და სახელმიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის სასამართლოსთვის წარმოდგენა; ასევე სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება.

2023 წლის 3 მაისს მოსარჩელე მხარემ სასამართლოს მომართა განცხადებითა და დაზუსტებული სარჩელით. განცხადებაში მოსარჩელე მხარემ მიუთითა, რომ 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება არის ე.წ. „ვირტუალური“ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რის გამოც მოკლებულია შესაძლებლობას წარმოადგინოს მისი ასლი. ამასთან, მოსარჩელე მხარემ დააზუსტა მეორე სასარჩელო მოთხოვნა შემდეგი სახით: ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 21 მარტის №256/ს ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც მწვანე ალტერნატივას უარი ეთქვა შპს ჯორჯიან მანგანეზთან 2021 წლის 1 დეკემბრიდან ინფორმაციის მოწოდების დღემდე წარმოებული მიმოწერის, კომპანიის მიერ წარმოდგენილი (გარდა სპეციალური მმართველის მიერ 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით წარდგენილი ანგარიშებისა) და/ან კომპანიისათვის გაგზავნილი ყველა დოკუმენტის ასლი გადაცემას.

ამასთან, დაზუსტებულ სარჩელში სასარჩელო მოთხოვნა წარმოდგენილია შემდეგი სახით: 1. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 23 იანვრის №23/03-922 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ და დაევალოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს გადასცეს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 23 იანვრის №23/03-922 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია კერძოდ: შპს ჯორჯიან მანგანეზთან 2021 წლის 1 დეკემბრიდან ინფორმაციის მოწოდების დღემდე წარმოებული მიმოწერის, კომპანიის მიერ წარმოდგენილი (მათ შორის კომპანიის სპეციალური მმართველის მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშები შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით) და/ან კომპანიისათვის გაგზავნილი ყველა დოკუმენტის ასლი; 2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 21 მარტის №256/ს ბრძანება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივარი. დაზუსტებულ სარჩელს ერთვის სახელმიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი.

სასამართლო გაეცნო განცხადებას ხარვეზის შევსების თაობაზე და მიაჩნია, რომ მოსარჩელის მხრიდან ხარვეზი არ არის აღმოფხვრილი, შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად მას უნდა გაუგრძელდეს ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა, შემდეგი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით.

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს მოსარჩელის მოთხოვნა.

1.1. მოსარჩელე მხარემ მიუთითა, რომ 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება არის ე.წ. „ვირტუალური“ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რის გამოც მოკლებულია შესაძლებლობას წარმოადგინოს მისი ასლი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად: 1. სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. 2. სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ 2023 წლის 23 იანვრის №23/03-922 განცხადებით სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსაგან ითხოვს საჯარო ინფორმაციის გაცემას, რაც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, არამედ ექცევა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის

ფარგლებში. ამდენად, საჯარო ინფორმაციის გაუცემლობა განიხილება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელებაზე უარად და აღნიშნული მუხლით წარმოდგენილი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობას წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალკე სასარჩელო მოთხოვნად ვერ იქნება წარმოდგენილი იმგვარი გადაწყვეტილება, რომელიც არ არის გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით. ამასთან, მოსარჩელე მხარე მართალია, წარმოდგენილი განცხადებით განმარტავს, რომ ითხოვს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 21 მარტის №256/ს ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობას, თუმცა აღნიშნულის შესაბამისად, არ არის დაზუსტებული თუ რა მოცულობით ითხოვს საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალებას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსადმი.

ამდენად, მოსარჩელე მხარემ უნდა დააზუსტოს სასარჩელო მოთხოვნა შემდეგი შინაარსით: 1. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 21 მარტის №256/ს ბრძანება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში; 2. დაევალოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს ქმედების განხორციელება - საჯარო ინფორმაციის გაცემა. ამასთან, მოსარჩელე მხარემ საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალება უნდა მოითხოვოს იმ მოცულობით, რა ნაწილშიც სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 21 მარტის №256/ს ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დააკმაყოფილდა.

ამდენად, მოსარჩელე მხარეს სასამართლოს ინიციატივით უნდა გაუგრძელდეს ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული ვადა. თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მოსარჩელისათვის უკან დაბრუნების შესახებ.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, მე-13 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე, 284-ე, 285-ე, 445-447-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მოსარჩელე მხარის სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაგრძელდეს და იგი განისაზღვროს აღნიშნული განჩინების მხარისათვის ჩაბარებიდან 14 (თოთხმეტი) დღით;

2. განემარტოს მოსარჩელე მხარეს, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ;

3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შემოტანა არ დაიშვება.

მოსამართლე **ნინო ბუაჩიძე**